# იმერეთი

ფასი: წლიურათ 7 მ., ნახევარი წლით 4 მ., თვიურათ 3 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილ-ნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 15 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ. 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 2 საათამდე ღირს 3 მ. 2 საათის შემდეგ 4 მანათი.

კვირა 3 აგვისტო

მისამართი: ქუთაისი, რედაქცია გაზ. „იმერეთი“ თფილისის ქუჩა, ფარაღოვის თამბაქოს ქარხნის პირდაპირ შესახვევში, სახლი ოცხელისა.

ტელეფონი № 4.

№ 121 ყოველდღიური გაზეთი წელიწადი მესამე 1914 № 121

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## — „იმერეთი“ —

ახალი რედაქციით და თანამშრომლებით.

ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისათვის

| გაზეთის ფასი: | | |
|---|---|---|
| | ერთი წლით | 7 მანეთი. |
| | ნახევარი წლით | 4 მანეთი. |
| | ერთი თვით | 3 აბაზი. |
| | და ცალკე ნუმრის | 1 შაური. |

წლიური დასაკვეთიეთაზ ისზ ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურათ ღირს 15 მ. ½ წ.—8 მ., თვიურათ 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთის ეთმობათ წლიურათ 6 მ., ნახევარი წლით 3 მანეთად და თვიურათ 3 აბაზეთ.
**ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით** редакція „ИМЕРЕТИ“ Гавріилу Ивановичу Дарахвелидзе **სხვა გვარად გამოგზავნილ ფულს რედაქცია ვერ მიიღებს.**

რედაქცია უმორჩილესათ სთხოვს თავის კორესპონდენტებს კორესპონდენციები სწერონ ქაღალდის ცალ გვერდზე, გარკვევით და გაურკვევლად ნაწერი წერილები განუხილავი დარჩება. წვრილმან წერილების გამო რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არა კისრულობს.

---

## ქ უ თ ა ი ს ი
## პირველი კერძო სამკურნალო
ს პ ე ც ი ა ლ ი ს ტ ი ე ქ ი მ ე ბ ი თ.

**მუდმივი საწოლებით თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.**
**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

**დ ი ლ ი თ.**

პრივატ-დოცენტი ხარკოვის საიმპერატორო უნივერსიტეტის მედიცინის დოქტორი ვ. პ. **მოსეშვილი** შინაგანი და ნევრების.

| | |
|---|---|
| ბ. ა. მირაქოვი—ყელის, ცხვირის, ყურისა. | 1—2 |
| გ. ს. ნადირაძე.—შინაგანი და ბავშის | 10—11 |
| ა. ა. რელიგიონი—დოსტაქარი, ქალთა, სახებით ყოველ დღე | 11—2 |
| მ. დ. ბეთანოვი.—კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12—2 |
| ვ. ა. ჭოდოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. | 12½—2მ |

**ს ა ღ ა მ ო თ.**

| | |
|---|---|
| გ. ლ. ქორქაშვილი—თვალის ხუთშაბათობით | 4½—5½ |
| ვ. ა. ჭოდოშვილი—საბებით, ქალთა და შინაგ. | 5½—6/ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, აპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი № 53

**სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოდოშვილი**

---

ქუთაისი. დაიბეჭდა და იყიდება

თ. მთავრიშვილის და ამხ. წიგნის მაღაზიაში

შემდეგი ახალი საკუთარი გამოცემები:

| | |
|---|---|
| „მამულის სიყვარული და მსახურება“—ნ. ნიკოლაძისა ფ. | 1 აბაზი |
| „ხუცური ანბანი“ და კარიჭაშვილისა ფ. | 1 აბაზი |
| „ლოცვანი“ მღვდ. პლ. ცქიტიშვილისა | 2 შაური (ყდით 3 შაური) |
| „შაქარას ნაამბობი“—ს. ყიფიანის | 3 კაპ. |
| „ქართული მოძრავი ანბანი“ | 2 შაური (კარდონზე 10 შაური) |

იბეჭდება და მალე გამოვა დასურათებული სახელმძღვანელო „გუთანი“, მესამე გამოცემა.

---

ექიმის იკ. პოკერიას

## საავათმყოფო

გადავიდა ახალ ბინაზე წითელ ხიდთან, მიხეილის ქუჩაზე, კლუბის პირდაპირ. დასაწოლ ავათმყოფებს ღებულობენ ყოველ დროს.

---

## განცხადება.

**ქუთაისის სააზნაურო ქართულ გიმნაზიაში** მომავალი სასწავლო წლისთვის ვაკანსიები არც ერთ კლასში არ მოიპოვება. თავისუფალი ვაკანსიები იქნება მოსამზადებელი კლასის პირველსა და მეორე განყოფილებებში და თხოვნები (წლოვანობის, წოდების და აცრის მოწმობებით) 25 აგვისტომდი უნდა წარმოადგინონ.

მისაღები ეგზამენები მოხდება 28 აგვისტოს

ხელახალი ეგზამენებისთვის მე 5, 6 და 7 კლასების მოსწავლეები 21 აგვისტოს უნდა გამოცხადდენ, დანარჩენ კლასებისა და განყოფილებათა მოწაფეები კი -25 აგვისტოს.

ქუთ. სააზ. ქართული გიმნაზიის გამგის მაგიერ გ. ცაგარეიშვილი.

---

## ОБЪЯВЛЕНІЕ.

### Р. О. П. и Т.

Въ виду исключительнаго положенія, настоящимъ Русское Общество Пароходства и Торговли предлагаетъ г.г. товарополучателямъ озаботиться немедленнымъ пріемомъ всѣхъ грузовъ, прибывшихъ изъ внутренныхъ, балтійскихъ и заграничныхъ портовъ.

## განცხადება.

რადგანაც საგანგებო გარემოება ჩამოვარდა, რუსეთის სანავოსნო და სავაჭრო საზოგადოება სთხოვს საქონლის პატრონებს დაუყოვნებლივ გამოიწერონ კანტორიდან შიდა რუსეთისა, ბალტიისა და საზღვარგარეთის ნავსადგურებიდან მათ სახელზე მოსული საქონელი.

---

ვ. უნივერსიტეტის მედიცინის

**ექიმი** **ვ. ი. კაკიტელაშვილი** საზღვარგარეთიდან დაბრუნდა და განაახლა (შინაგანი, ქალთა და საშარდე სნეულებიანი) ავათმყოფების მიღება. საგარდე მილისა და ბუშტის ელექტრონით შანათება (ცისტოსკოპით) ათაშანგის წამლობა 606—914, განსაკუთრებული ელექტრონის სინათლით სამკურნალო კაბინეტი. ელექტრონის აბაზანები მიღება დილის 9—12 საათ. და სალ. 5—7 საათ.
**მისამართი:** ქარვასლისა და პუშკინის ქუჩის კუთხე, პუშკინის ფოტოგრაფიის პირდაპირ.

---

**ექიმი** **მ. დ. ბეთანოვი იღებს კანისა, ვენერიული, და სქესობრივი უძლურებით ავადმყოფთ** დილის 9—12 ს., საღამოს 5—8 ს. აფთიაქის ქუჩა № 24 საკუთ. სახლი.

---

**ექიმი** **გ. დ. ნასარიძე** დაბრუნდა და ავათმყოფების მიღება განაახლა (შინაგანი, ბავშების და ნერვების სნეულებანი) დილით 9—2 საათამდე და საღამოთი 5—7 საათამდე თფილისის ქუჩაზე, ეზიკოვის სახლში (ქალაქის პირველ აფთიაქის პირდაპირ).

---

**ქ. ქუთაისში**
კ ბ ი ლ ი ს ე ქ ი მ ი

### ს. ა. ცეიტლინი.

კბილის და პირის ავათმყოფობა. ხელოვნური კბილების გაკეთება.
მიიღებს ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და 4—7 საათ. საღ. ბალახვანის ქუჩა. სახაზინო პალატის გვერდით.
**ტელეფონი 153.**

---

**ექიმი** **კ. ტყეშელაშვილი** ღებულობს ავათმყოფს (ვენერიული, კანის, და სიფილისისა) **იკვლევს გასსერმანის მეთოდით სისხლს.** დილით 9—1, საღამოთი 6—8 ვიტუშინსკის სახლი, რიონის პირათ პუშკინის ქუჩიდან შესახვევი.

---

**ექიმი** **ი. ა. ცეხანოვსკი** გადავიდა ძველი ბინიდან ივანოვის ქ., შავი ქვის საბჭოს ზევით. ღებულობს ვენერიულ, საშარდე, სიფილისიან და სხვა სასქესო ავათმყოფებს. მიიღება ავათმყოფები დილით 10—1 ს., საღ. 5—8 საათ.

---

**დოკტორი** მედიცინისა, პრივატ-დოცენტი გ. პ. **მოსეშვილი** ჩამოვიდა და ღებულობს შინაგან და ნერვების ავათმყოფებით სნეულებს დილის 8 ს.—12 ს., ნაშუადღევის 5 ს.—8 საათამდი.
გოსპიტლის ქუჩა, მოსეშვილის სახლი № 6.

---

**ექიმი** **ი. ჩარექოვი ქალაქის საავათმყოფოს ორდინატორი.** განაახლა **კანის, ვენერიულ და სიფილისიან ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე** დილით 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში.

---

**დამეკარგა ატტესტატი 471,**
ქუთაისის სამოქალაქო სასწავლებლის მოწაფეს ალექსანდრე გუგუციძეს. მნახველს მიეცემა შესაფერი ჯილდო და ვსთხოვ წარმოადგინოს გაზეთ „იმერეთის“ რედაქციაში.

---

# სრულიად ევროპის ომი

## დ ე პ ე შ ე ბ ი

პეტ. დეპ. სააგენტოსაგან.

31 ივლისი.

**პეტერბურგი.** ლიეჟის ფოსტები ჯერ კიდევ არ აუღიათ გერმანელებს. მათ პირდაპირ დაბანაკებული გერმანელი ჯარები, თხრილებს აკეთებენ. მართლდება ხმები, რომ გერმანელები ლიეჟთან არ არიან უზრუნველყოფილი სურსათის მხრით. 15 კილომეტრით ლონგვი—მონმედის სამხრეთით ფრანგთა ჯარებმა ჩაიგდეს ხელში გერმანელების ბატტარეა და ტყვიის მფრქვეველნი.

**სოფია.** გამოცხადდა ბძანება, რომ აღკრძალულია გატანა საკვებისა, რქიანი საქონლისა, ცხენებისა და ქვანახშირისა.

**პარიზი.** ბრძოლა მდინარე ოტენზე, დაწყებული 29 ივლისს, 30 ივლისამდის გაგრძელდა, რომელშიაც ფრანგებმა დიდათ გაიმარჯვეს. პირველათ გერმანელებმა მიიტანეს იერიში ორ ფრანგულ ბატალიონზე, ფრანგებმა ჯერ უკან დაიხიეს, მაგრამ როდესაც მაშველი ჯარი დაეხმარა, ღამით თვით მიიტანეს იერიში და გერმანელები უკან დასწიეს. გერმანელებმა ბევრი დაკარგეს მოკლული, დაჭრილი და ტყვედ წაყვანილი. დასტოვეს არტილერიის ბატარეა, სამი ტყვიის მტყორცნელი და რამდენიმე ყუთი სასროლი მასალა. 30 ივლისს ფრანგთა ბატარეიამ მოასწრო ქვეითად მყოფ გერმანელთა მე-21 დრაგუნის პოლკს და მოსო. ამ გამარჯვებამ გავლენა იქონია გერმანელთა წინსვლაზე: მათმა ჯარმა უკან დაიხია; თან მისდევდენ ფრანგები; ცხრა ოფიცერი, ათასამდი ჯარის-კაცი, დაჭრილები და შეპყრობილი დარჩათ ფრანგებს.

**ლონდონი.** ბრიუსელიდან იტყობინებიან, რომ კალე-ხალენესთან მომხდარი ბრწყინვალე ბრძოლა ოფიციალურად შემოწმებულია. ეს გამარჯვება ბელგიის ჯარს უზრუნველ ჰყოფს ყოველივე მოულოდნელ შემთხვევისაგან მომავალში.

**პარიზი.** პონტამუსონზე იერიშის მიტანა და ზარბაზნის დაშენა ერთხელ კიდევ უტყუარად მოწმობს გერმანიის მძიმე არტილერიის უვარგისობას. ასმა ას-ას კილოგრამიანმა ყუმბარამ მხოლოდ ოთხი კაცი მოჰკლა და 12 დასჭრა. მორალური (ზნეობრივი) გავლენა ზარბაზნების სროლისა უმცირესია.

**ლონდონი.** ოფიციალურად იუწყებიან, რომ ლორდ რობერტსი დაინიშნა ოკეანეს გაღმა სამფლობელობის ჯარების მთავარ სარდლად.

**კოპენგაგენი.** მემკვიდრის დაბადების დღეს რუსულ ეკლესიაში გადახდილ იქნა წირვა და პარაკლისი. დაესწრო საელჩო ბარონ ბუქსგევდენის მეთაურობით. ყველა მხურვალეთ ლოცულობდა მეფის ოჯახისა და რუსეთის კეთილდღეობისათვის.

**მოსკოვი.** ყველა ერობათა წარმომადგენელთა თათბირზე დაადგინეს: შეადგინონ ევროპიელ ერობათა კავშირი, რომლის სათავეში იქნება ათი კაცისაგან შემდგარი სათათბირო იაპონიის ომის დროს მომქმედ ორგანიზაციათა წარმომადგენელი. ლვოვმა განაცხადა: კავშირს ვუერთდები და გადავსცემ იმ დროიდან დარჩენილ 1,000,000 მანეთსაო. დაახლოვებით შესდგა 6,000,000 მანეთი.

**მინსკი.** პოლონეთის მემამულეთა მრავალნი წარმომადგენელნი გერმანიასთან ომის გამოცხადების დროს შეიკრიბენ, მოიგონეს გრუნვალდის ომი, როცა 500 წლის წინათ რუს-პოლონეთ-ლიტვის ჯარმა დაამარცხა ტევტონელნი და მით დიდიხნით უზრუნველჰყო სლავიანთა კულტურული განვითარება, გადასწყვიტეს მონარხთა უქვეშევრდომილესი გრძნობანი წინაშე ხელმწიფისა, რომელიც ერთად-ერთი მფარველია სლავიანთა ერებისა; უფალს ევედრებოდენ რუსის ჯარისთვის გამარჯვებას, რომელიც სლავიანთა ერებს შეაერთებს და ააყვავებს.

**პარიზი.** საფრანგეთის მთავარმა კონსულმა დიუსელდორფში მოხსენება მიართვა საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომ მას ცუდათ ეპყრობოდენ, სანამ ჰოლანდიის საზღვრამდი მიიყვანდენ, მუდამ ზვერავდენ; ხალხი შეურაცხყოფას აყენებდა; იძულებული იყო მესამე კლასით ემგზავრნა, სადაც ახლად გაყვანილი ჯარის კაცები იყვენ, რომელნიც შეუწყვეტლივ აგინებდენ. კიოლნში სამი დღე დატუსაღებული ყოფილა; გაუჩხრეკიათ; ვილერში, პრუსიის უკანასკნელ სადგურზე, იგი და მისი თანამგზავრი ხელმეორეთ გაუჩხრეკიათ—ჩხრეკას ძლიერ ხეპრეთ აწარმოებდენ: ჩამოურთმევიათ ქაღალდები, კერძო მიწერ-მოწერა, ფული; ამ წვალების შემდეგ კონსული მისულა ჰოლანდიაში.

**კოპენჰაგენი.** ჩამოსული 36 რუსი, მათ შორის გრაფინია ვარონცოვა-დაშკოვა ქალებით, ბარონ კნორინგი და სხვანი ფინლანდიას მიდიან.

**ლონდონი.** ბეჭდვითი სიტყვის ბიურო იუწყება, რომ მთავარი ძალები გერმანიის ჯარებისა საბოლოოდ გამორკვეულია, გერმანელთა უმრავლესობამ უმთავრესად დასავლეთ საზღვარზე მოიყარა თავი. აღმოსავლეთით საზღვრები ნაკლებ არის დაცული, თითქმის მარტოოდენ სათადარიგო ჯარებით.

**პარიზი.** ჰავასის სააგენტო იტყობინება, რომ აქამდის მომხდარი შეტაკებანი მოწმობენ, რომ ფრანგების არტილერია გაცილებით სჯობნის გერმანიისას. მოქმედების დროს გერმანელები არ ერიდებიან ბარბაროსულ ზომებს, ხვრეტდენ მძევლებს, ხმარობდენ ყოველნაირ ძალადობას, სწვავდენ და დახვრიტეს მამასახლისი დაბისა (?) იმ საბუთით, ვითომც დაბის მცხოვრებლებმა ხელი შეუწყეს ტყვეს გაქცევას. გერმანია კვლავ განა-

გრძობს და რჩევას აძლევს ნეიტრალურ სახელმწიფოთ, თვით ბელგიასაც კი და წილის დადებას ჰპირდება ახლად შეძენილ ადგილებში. გაზეთ ,,ტანის" ბრიუსელელ კორესპონდენტის სიტყვით, გერმანიამ წინადადებით მიმართა ბელგიას შესწყვიტოს ბრძოლა, და ჰპირდება ხელშეუხებლობას და ტერიტორიის გაფართოვებას. მეფემ უარჰყო წინადადება, როგორც შეურაცხყოფელი.

**პეტერბურგი.** ჩამოვიდა რუსეთის ელჩი ბერლინში, რომელმაც შვეციის გზით გამოიარა.

**ჩიფუ.** ცინდაოში სამხედრო გემები არ არიან. გერმანულ გემებისაგან ჩაშლილი მისვლა-მოსვლა ინგლისის საზღვისპირო რეისებისა აღდგენილ იქნა.

**ლონდონი.** გენერალ ბიტიუნმა დაათვალიერა კოლონიის ჯარების კორპუსი, რომელიც შესდგება კოლონების სამსახურ ვადა გათავებულ მცხოვრებთაგან. კორპუსი შესდგა შემოწირულ ფულის ხარჯზე. საპატიო უფროსად არჩეულ იქნა ლორდი ლიდედერზი. საღამოს გაზეთები იტყობინებიან, რომ რუსული შხუნა „ინგრადი" ბალტიის ზღვიდან დუკრში მოვიდა ხე-ტყით დატვირთული. შხუნა ზღვაში ომის გამოცხადებამდი გამოსულა. საფრანგეთის ელჩი ბერლინში კამბონი ოკპენჰაგენში ჩამოვიდა.

**ლონდონი.** ჰოლლანდიამ კვლავ ოფიციალურად განუცხადა საფრანგეთს თავისი მტკიცე სურვილი გოლანდიის ჯარის იარაღით დაიცვას ნეიტრალიტეტი.

**სოფია.** ახალ რუსულ ეკლესიაში გარდახდილ იქნა პარაკლისი რუსეთის მხედრობის გამარჯვებისათვის, დაესწრენ ოპოზიციის ლიდერთა და პოლიტიკურ მოღვაწეთა წარმომადგენელნი, ქალაქის მცხოვრებთა დეპუტაციები და მრავალი მლოცველი.

**პარიზი.** გერმანიიდან მოსული ფრანგები ამბობენ, რომ მთავრობა გერმანიაში ზომებს იღებს, რათა მოსავალი რიგიანათ მოიწიოს. გალიციის სოფლის მუშები სამკელათ გაგზავნეს აღმოსავლეთ პრუსიაში. რუსის მუშები, რომელთაც ბავარიიდან დაბრუნება უნდოდათ სამშობლოში, შეაჩერეს და გაგზავნეს სოფლებში. უნდობლობა უცხოელთადმი დღითი-დღე მატულობს. გერმანიის მთავრობა ზომებს ღებულობს, რათა ვერცხლისა და ოქროს ფულის ტრიალი მოაწესრიგოს. ომის დაწყებისას სანატორიუმ „ფრენფურტში" მრავალი რუსიც იყო. ყველა განდევნეს, სხვათა შორის ახლად მოლოგინებული ქალი, რომელსაც გზაზე ბავში გადაეცვალა.

**თფილისი.** ხელმწიფის მოადგილემ მიიღო დეპეშა ხემწიფისაგან: მოგანდობთ თქვენ, გრაფო, გარდასცეთ ჩემი უგულითადესი მადლობა უქვეშევრდომილეს გრძნობათა გამოცხადებისა და ტახტისა და მამულის თავის დასადებათ მზად ყოფისათვის სამრეწველო მოღვაწეთ, აბხაზეთისა, სამეგრელოს, სამურზაყანოს, ყარანოგაის ხალხებსა და თფილისის მალაკნებს. ბაქოს საქალაქო თვითმართველობამ, აღძრა რა შუამდგომლობა მოადგილეს წინაშე, რათა მოახსენოს ხელმწიფეს უქვეშევრდომილესი გრძნობანი და რუსის იარაღის წარმატებისათვის ყველა მსხვერპლისთვის მზადყოფა, გადადვა: სამხედრო სამკურნალო სანიტარული და ხმარების მოწყობისათვის 100000 მანათი, დაჭრილთათვის 50,000 და გაწვეულთა ოჯახებისათვის 500,000.

**პეტერბურგი.** საგენერალო შტაბის უმთავრესი სამართველო ოფიციალურათ იუწყება, რომ 30 ივლისს ჩვენმა ჯარმა დაანგრია თერთმეტ ადგილას რკინის გზა, ტელეგრაფის მავთულები ტილზიტსა და შმალენკინას შუა და ვიშვილას დასავლეთით შარა გზა ტილზიტ-შმალენკინას შუა. გერმანელებისგან შირვანტამსა და კუზმინას შორის გზა გაფუჭებულია. კარმუშინენში აღმოჩენილ იქნა მე 12-ე ულანის მეცხრე ცხენოსან ეგერის გერმანელების პოლკის ნაწილი ტყვიის მფრქვეველებით. როდესაც ჩვენი ჯარი მიუახლოვდა, მტერი არ შეგვებრძოლა და და ჩრდილო-დასავლეთისკენ დაიხია. მტრის ორი ბატალიონი და ექვსი ზარბაზანი, რომელსაც თან მიყვებოდა ცხენოსანი ჯარი, დაეცა ფილიპოვოს. მტერი ჩვენმა ჯარმა სამხეთ-დასავლეთისკენ განდევნა. მარკგრაბოვაში(?) აღმოჩენილ იქნა, გერმანელების არტილერიისა და ცხენოსანი ჯარის ნაწილი.

**პარიზი.** ოფიციალურათ იუწყებიან, რომ რამდენიმე გერმანელი ჯაშუში სამხედრო სასამართლოში მისცეს და დახვრიტეს. მათ შორის ქალაქ ტანნას მერი, ფოშტის მოხელე, ფრანგების ორი ბატალიონი, რომელმაც დაიპირა სოფელი ლაგარდი, გერმანელებისგან, რომელიც რიცხვით გაცილებით მეტი იყო, განდევნილ იქნა. ბელგიელების ჯარმა, ლიეჟთან 2000 მეტი ტყვე ჩაიგდო ხელში, მათი დაბინავება საფრანგეთის მთავრობამ იკისრა. საფრანგეთის ჯარმა ტყვეთ წაიყვანა 1500 კაცი. გერმანელების ჰაეროპლანმა, რომელიც საფრანგეთის დროშის ქვეშ დაფრინავდა, დღეს დილით გამოჩნდა იურის მახლობლათ სადგურის თავზე, დაიწყო ფრენა და იქიდან სამი ყუმბარა ჩამოაგდო. ყუმბარების აფეთქებისაგან ზარალი მცირეა. საფრანგეთის ჯარმა სროლა აუტეხა და იძულებული ჰყო მიმალულიყო.

**პეტერბურგი. 31 ივლისი.** გერმანიის ორმა კრეისერმა კუნძულ დამოს დასავლეთ კონცხზე მდგარს კანდელს (მაიაკ) ზარბაზნები დაუშინა. ზარბაზანი ოცჯერ დასცალეს. ზიანი ვერ მიაყენეს.

**კამენეც პოდოლსკი.** რუმინიაში სათადარიგო ჯარის მოწვევა გძელდება. ჯარი გაძლიერებულათ ვარჯიშობს. რუმინიის პრესა ნეიტრალიტეტის დაცვის მომხრეა. გამოირკვა, რომ გერმანიის მზვერავები საავტომობილო უმთავრესს გზებზე მჩხვლეტავსა და წვეტიან ნივთებსა ჰყრიან, შინების გასაფუჭებლათ.

**ვილნა.** სამხედრო მოქმედების საზღვრებში გერმანელები ჰაეროპლანის საშუალებით სამხედრო ბანაკის დაზვერას ცდილობენ. ჩვენი ჯარი ბეჯითი სროლით იგერებს. სუვალის გუბერნიაში ჩამოაგდეს ჰაეროპლანი, რომელშიც აღმოჩნდა ოთხი გვამი გერმანელ აფიცრებისა.

**ბრიუსელი.** შარლ ლერუას გზით ბელგიაში დიდძალი საფრანგეთის ჯარი შემოვიდა და ჟანბლუსკენ გაემართა.

**პარიზი. 1 აგვისტო.** სამხედრო სამინისტრო ოფიციალურათ აცხადებს, რომ ბელგიის ცხენოსანთა ჯარმა დიდათ გაიმარჯვა. გერმანელები ყველა პუნქტიდან განდევნეს და დიდი ზარალიც მიაყენეს. საფრანგეთის ჰაეროპლანი ზვერავდა ლოტარინგიას, მას გამოედევნა გერმანიის ძლიერი ორი ჰაეროპლანი, რომელზეც იჯდა გერმანიის სამი კაცი ავტომატიური თოფებით შეიარაღებული. საფრანგეთის ავიატორმა მოასწრო დამალვა და დაეშვა საფრანგეთის ჯართან. აღსანიშნავია ის შეტაკება, რომლის დროსაც ფრანგებმა ვოგეზის მთების ქედები დაიკავეს და აგერ მეხუთე დღეა ხელში უჭირავთ, მიუხედავათ იმისა, რომ გერმანელებს მეხუთე დღეა ზედიზედ იერიში მიაქვთ. ბონომისა, სენმარისა და საარის ხეობებში ფრანგებმა ყველა იერიში მოიგერიეს. საარის ხეობაში დაღლილსა და დაქანცულ რეგულიარულ ჯარს გერმანელებმა სათადარიგო ჯარის რაზმები მიაშველეს. ფრანგებმა ეს რაზმები დაფანტეს, იარაღი დააყრევიეს და დაიმორჩილეს, ფრანგებმა ხელში ჩაიგდეს მრავალი ტყვიის მფრქვეველი. ფრანგები ბრიუშის ხეობაში გაბატონდენ.

**ლონდონი.** ბრიუსელიდან იუწყებიან, რომ გიტბეცის მიდამოებში ბელგიელებმა გერმანელების იერიში მოიგერიეს. ფოშტის მიმოსვლა, რომელიც 20 დღის განმავლობაში იყო შეწყვეტილი თანდათან იწყება. მიღებულ გერმანულ გაზეთებში ბევრი შეურაცხმყოფელი წერილებია რუსეთისა და ინგლისის შესახებ.

აგრეთვე თავის მკითხველებს აუწყებენ, რომ გერმანია ბელგიაში ბრწყინვალეთ იმარჯვებს და რუსეთის საზღვრებზე გერმანიას 25 კორპუსი ჯარი ყავს და მას ავსტრიის ჯარის 16 კორპუსი კიდევ მიემატებაო.

**პეტერბურგი.** საგენერლო შტაბის უმთავრესი სამართველო ოფიციალურათ იუწყება: შემოწმებულ იქნა ის ცნობა, რომ გამაგრებულ პოზიციიდან სოკოლთან ჩვენმა ცხენოსანმა ჯარმა განდევნა ულანის მე-5 პოლკი, ნაწილი მე-15 დრაგუნთა და ორი ბატალიონი ავსტრიის მე-5 ქვეითა ჯარის პოლკებისა; ტყეში ჩასაფრებული იყვენ სათადარიგო ჯარის კაცები, მაგრამ ბრძოლის გათავებამდი გაიქცენ, ჩვენი ჯარი უკან დაედევნა. იმავე დღეს, ჩვენი ჯარის ნაწილმა, იდგა რა პირისპირ მთელი ფრონტის სიგრძეზე, სბორაჟესა და სინიაგოვსკის შუა გაანადგურა მე-11 ულანის პოლკის საყარაულო. გამოირკვა, რომ ზალოჟცესთან მტრის ექვსმა როტამ და ორმა ესკანდრონმა ანაზდეულათ მოიტანა იერიში, მაგრამ ჩვენმა ცხენოსნებმა, დაამარცხეს ლანდვერთა 35-ე პოლკი, ნება არ მისცა ავსტრიელებს მოახლოვებოდენ ჩვენს ბანაკს. სბოროჟთან ჩვენმა ჯარმა სროლა აუტეხა და უკან დაახევინა. მტერს ზარალი მოუვიდა.

**პეტერბურგი ოფიციალური.** საგენერალო შტაბის უმთავრესი სამართველო იუწყება შემდეგს: უავგუსტოესმა ჯარის უმაღლესმა მთავარსარდალმა ბძანა: „ეუწყოს ჯარსა და მცხოვრებლებს, რუსეთი იბრძვის მთელი სლავიანების ერთის მტრის წინააღმდეგ. პოლონელები როგორც რუსეთისა, ისე გერმანიის საზღვრებზე მცხოვრებნი, რომელნიც იჩენენ ლოიალობას, ყოველთვის იქნებიან ჩვენის ჯარისა და მთავრობის მფარველობის ქვეშ. მათი პიროვნება და ქონება ყოველთვის უზრუნველყოფილი იქნება და ყველა ის, ვინც კი შეეხება ჩვენს ერთგულ პოლონელთა ქონებასა და პიროვნებას, უსასტიკესათ დაისჯება სამხედრო დროის კანონების მიხედვით.

## უკანასკნელი ამბები.

### კოპენჰაგენი.

ნორვეგიულმა გემმა შაბათს გერმანიის ფლოტი ნახა, რომელიც ასამდე რიცხვით გრიმზბიდან სამხრეთისკენ მიდიოდა.

### პარიზი.

ავსტრია ლომბარდიისა და ვენეციის დაჭერას აპირობს, თუ იტალია მომავალშიაც მოცდის პოლიტიკას დაადგება.

### სტოკგოლმი.

გერმანელებმა კონფისკაცია უყვეს კრუპპასთან შეკვეთილ ბელგიელების იარაღს. იარაღი დიდი ხანია მზათ იყო და ბელგიას ორასი მილიონის ფრანკი უკვე ჰქონდა გადახდილი.

### პეტერბურგი.

„ნოვოე ვრემია" ფიქრობს, რომ თუმცა საფრანგეთმა ომი გამოუცხადა ავსტრიას, მაგრამ ნამდვილად ომი პირველად ავსტრიამ დაიწყო, როცა მთელი კორპუსი გაგზავნა საფრანგეთის საზღვარზე. ამიტომ საკავშირო ხელშეკრულება, რომელიც გერმანიაზე და ავსტრიაზე თავდასხმას შეეხება, [illegible] დებული არ არის.

### კიევი.

ვოლოჩინსკიდან და რადზივილოვიდან კაზატინში მოვიდა პირველი ჯგუფი, რიცხვით ასი, ავსტრიელ ტყვეთა.

### ბრიუსელი.

მიუხედავათ ქალაქ ლიეჟის აღებისა, ფორტები განაგრძობენ სათანადო წინააღმდეგობის გაწევას. გერმანელებმა თავისი არტილერია ლიეჟის ჩრდილოეთით და სამხრეთით მოათავსეს და განაგრძობენ ალყას.

### პარიზი.

საფრანგეთის მთავრობამ. გერმანელთა საქციელის საპასუხოთ, რომელიც გამოიხატა ფრანგ ქვეშევრდომთა სიკვდილით დასჯაში, მძევლად შვიდი გერმანელი ნოტაბლი წაიყვანა.

# ომის დღიური.

## მდგომარეობა ბრძოლის მთავარ ველზე.

უკანასკნელმა დეპეშებმა არაფრით არ შესცვალეს სურათი მდგომარეობისა ბრძოლის ველზე, ნაწილობითი ცნობები მოპირდაპირეთა შეტაკებების შესახებ, ჯარების მოძრაობა და ალყები ზოგიერთ მეორე ხარისხოვან სტრატეგიულ პუნქტებისა ელზასში, იმას მოწმობს მხოლოდ, რომ მოპირდაპირენი მთავარ ბრძოლისთვის ემზადებიან, შეტაკებები უმთავრესად ვოგეზის მთებთან ხდება, რომლის ამა თუ იმ ხელში გადასვლას მომავალ მთავარ ბრძოლისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს. უკანასკნელი დეპეშა იტყობინება, რომ ვოგეზის მთების ქედები ფრანგებმა ჩაიგდეს და ხუთი დღეა იგერიებენ გერმანელების იერიშს. საფრანგეთის სიმაგრე-ბელფორსა და გერმანულ ქალაქ მიულჰაუზენის შორის გზა ფრანგების ხელშია. გერმანელებმა წინ წამოაყენეს თავისი სათადარიგო ჯარი, რომელმაც, უკანასკნელის ცნობით, იარაღი დაჰყარა. მიუხედავათ ამისა, შედეგები ჩვენთვის გამოუცნობია.

ეჭვი არ არის, ახლო ხანში მოქმედება სახელგანთქმულ სედანთან დაიწყება, რომელმაც 1870—1 წლების ომში დიდი როლი ითამაშა. მონმედი, სადაც უკვე გამოჩნდენ გერმანიის მზვერავი რაზმები, უახლოესი პუნქტია სედანისა.

## გერმანიის ჯარი და მისი გენერლები.

გერმანიის ჯარის ოცდა ხუთი კორპუსი დანაწილებულია რვა საარმიო ინსპექციათ, რომლის გენერალ-ინსპეკტორებს, მობილიზაციის გამოცხადებისათანავე არმიის სარდლის წოდება და უფლება ეძლევათ.

**პირველი საარმიო ინსპექცია** შესდგება: პირ. კორპუსიდგან (გენ. ფ.- ფრანსუა) კორპუსის შტაბი სიმაგრე კენიგსბერგი; მეჩვიდ. კორპუსისგან (გენ. კაველ. ფ.—მაკკენზენი) შტაბი-სიმაგრე

---

## „მუსიკა ჩვენი სულის ძაფია".

### (ფსიხოლოგიური ეტიუდი).

1.

„რაც ერთხელ ცხოვლად სულსდ აჩნდების,
საშვილისშვილოთ გადაეცემის". ნ. ბ.

ღამეა. ცის კაბადონზე ბადრი მთვარე კაშკაშებს.

თოვლივით სპეტაკ არხიპელაგის ზღვაზე პატარა გემი „კოლხიდა" მისრიალობს.

წყნარი ზღვა მიმავალ გემს ელამუნება.

მგზავრნი, ბაქანზე ამოსულან, საამო ზღვის ჰაერზე სტკბებიან. ზოგი სეირნობს, ზოგი ზის პატარა ქანდარა სკამებზე, ქანაობენ. ზოგსაც ხალი გაუფენია, მხართეძოზე წამოწოლილა. ზოგიც დაყრდნობია დიდრონ თოკების რგოლს და სიამოვნებით განაგრძობს გზას.

ირგვლივ სრული სიჩუმე სუფევს.

2.

ამ პატარა გემის ზედ ცხვირზე დამჯდარა ერთი შვა ხნის კაცი, ზღვის სივრცეს გაჰყურებს.

ცოტა იქითრელე, ზის მეორე—მისი თანამგზავრი, ისიც ზღვის სივრცეს გასჩერებია. ეტყობა, ორივე ერთი ქვეყნისკენ მიდიან. ევებ ერთნაირი დარდვარამიც აქვსთ?

ვჰკითხოთ!

— ეი, პატრიოტნო! საით მიდიხართ?

ხმას არ იღებენ. ფიქრებში არიან გარინდულნი. გვერდი აუარე.

3.

სულ ცოტა ხნის შემდეგ ისევ მიველ. მეორე მხრით ტოგონზე ჩამოვჯექი. ათიოდე წამი დავყავ. ვფიქრობდი ხელახლა დავკითხებოდი.

— ნიკოლი, —მომესმა,—შენ აქაური ხარ, გეცოდინება, შორს ვართ კუნძულ სიროსზე?

— ორი-სამი საათი ძლივს გვინდა კიდევ, თუ ასეთი წყნარი დარი დაგვესწრო. იყო პასუხი.

— ოჰ! ღმერთო ჩემო, თან მიმხარია, თან გული ლმის ადგილიდან ამომსკდეს.

— ეჰ! ძმაო, მე კი, თვით მიახლოებაც მაწუხებს, ამ მხრივ შენ ჩემზე ბედნიერი ყოფილხარ.

გულს ნუ გაიტეხ, ღმერთი მოწყალეა, ვინ იცის ეგებ არც ისე ავად არის?

— ტყუილი იმედია, სულიერს მოუსწარიო და ისიც საგანგებო დეპეშით არ მომწერდენ ცოცხალი რომ ყოფილიყო.

— მე კი ავადმყოფი მწერს ჩქარა მოდიო.

— თუ ძმა ხარ ერთმანეთის ამბავი გავიგოთ.

— თუ ცოცხალი დამხვდა გაცნობებ. იქვე ახლოს ვარ მეც, საცა შენ მიდიხარ. თუ არა და მშვიდობით.

4.

გემი ნავსადგურში შესცურდა.

როგორც საზოგადოთ ყოველგან საბერძნეთში, აქაც ზღვის პირი სავსე იყო ხალხით, ისხდენ მჩქეფარე ზღვის პირად. ღიღინობდენ.

გავედით ნაპირას.

5.

— ისე მიწუხს გული, რომ სახლში მისვლა არც კი მინდა,—თქვა ერთმა იმათთაგანმა, — ვიცი უბედურება მომელის.

— გული გაიმაგრე, ნუ წარიკვეთ სასოებას, მიუგო მეორემ.

— ასე მგონია მესმის კიდეც ტირილის ხმა. ნეტავ ჩქარა მაინც გაგვიშობდენ აქიდან.

— ეი! შენ, ძმობილო, ეუბნებიან საბაჟოს მორიგს, იყოს ეს ჩვენი ბარგი, აქ ხვალ წავიღებთ.

— არ შეიძლება, მომითმინეთ ცოტა, ახლავე მოგცემთ, — უპასუხა მორიგმა.

6.

წავიდენ.

გათენდა. ქალაქისკენ გავსწიე.

ქალაქ—სიროს შუაგულში, გორაზე ლამაზი ეკლესია სდგას.

ვხედავ, ეკლესიის გარშემო რაღაც ფაცი-ფუცი მოსჩანს.

დავინახე თუ არა ეს, როგორდაც გულმა მიაზრა, სწორეთ იმ ორში ერთი მაინც კი უნდა იყოს ამ უდროვო ფაცი-ფუცის მიზეზი-თქო, ვიფიქრე.

გავექანე ეკლესიისაკენ.

ეკლესია შორს არ იყო. ჩქარა აველ.

7.

საზარელ სურათს წავაწყდი.

გადახდილ კუბოში ბავში ესვენა. ცხვირ-პირდაკაწრული დედა თავს დასტიროდა.

ვიკითხე.

ნიკოლი მთიულისშვილიაო,—მითხრეს.

თვითონ სადღაა, მეთქი.

ძირს ასვენიაო, მომიგეს.

8.

საშინელება ამიდუღდა გულში.

ნეტავ გავიგებდე, მეორეს, მის ამხანაგს, რაღა დაემართა-თქო, ვიფიქრე.

იქვე მდგომს ვკითხე.

ის აგერ, ა, იმ სახლში სდგასო, მიმითითა.

ერთ წამსაც ვეღარ გავჩერდი. წაველ. მიველი.

9.

ვინ ბრძანდებითო, მასვლისათანავე მკითხა მან.

მე ისა ვარ, რომელიც თქვენს ჭირსა და ვარამს იზიარებს... მითხარ რა გიჭირს?..

ღრმა მწუხარებით შემომხედა და მიმითითა ოთახისაკენ.

— გესმის?..

ოთახიდან სუსტი მუსიკის სევდიანი ხმა მოისმოდა.

— ჩემი სევდაა ის, ჩემი სევდა!.. მიხვდი?

იქ, პაწაწინა ყუთში...

საბრალო ჩემი თანამგზარიც იქ არის ახლა, იქ! დასძინა მან.

შევცბი, ვაი თუ შეშლილი იყოს-თქო.

- იცით? სთქვა კიდევ, -ცოტა სიჩუმის შემდეგ, იცით, თქვენ, მუსიკა რა არის?..

ვსდუმდი.

— ნუ თუ არ იცით, რომ მუსიკა ჩვენი სულის ძაფია?..

— გემში შენ მკვდართა აჩრდილებს უსმენდი და ცოცხლები კი გეგონა.

შიშმა შემიპყრო.

ვცდილობდი გავსცლოდი მიდამოს.

ადგილიდან ვერ ვიძროდი.

მუსიკა მიყურებდა.

მისი ხმა სევდიანი მატყვევებდა.

მესმოდა მკაფიოდ:

— რაააი, რაააი, რიიი-რაააი! . რა, რა, რი! რიიი-რა! ვაააი-ვაი-ვაააი!..

ამ საშინელ ხმას გავერიე.

ოცნებაში შევცურდი.

მოვიხედე. მოსაუბრე აღარ იყო.

გავყე ხმას.

ოთახში შეველ. ვხედავ...

ჩემი მოსაუბრე დაჩოქილა მცხედრის წინ. ტირის.

10.

ლამაზი, სანდომიანი, შათვალწარბა, ახალგაზრდა, თოვლივით თეთრი ქალი, წევს ცოცხალივით.

- ვინ არის ეს? ვკითხე დაჩოქილს.

— ჩემი მსხვერპლი... ჩემი მსხვერპლი!.. მიპასუხა მან.

ცრემლები ღაპა-ღუპით ჩამოსდიოდა.

ავტირდი.

მუსიკა სტიროდა.

11.

იქვე ცხედართან ანგელოზი--ბავში იჯდა იატაკზე.

ბალღი უმანკო, მუსიკას სცინოდა: ვააი.

- ვაიიი! ლიიი-ააა!..

უსუსური ხმა მუსიკაში იკარგებოდა.

ჩემი გულიც ტიროდა...

მუსიკა ბანს მეუბნეოდა.

ყველანი ერთად, ერთსა და იმავეს ვიმეორებდით:—რააი—რაააი--რაააი!—რიიი--რააა! რა, რა, რა! რიიიირა!.. ვაი, ვაი! ვაი-ვააი!...

მზე კიაფობდა, ზეცა სდუმდა.

12.

ვწვალობდი. ვიტანჯებოდი...

მინდოდა მოვშორებოდი იქაურობას...

ამაოდ...

იქვე მიჯაჭულივით ვიდექ...

ცრემლები ნაკადულივით მაწყდებოდა...

ბავში ღიღინებდა.

დედა სამუდამო ძილში სდუმდა, მკრ-

დანციგი და მეოცე კორპუსისგან (გენერ. არტილ. ფ.—შოლცი), შტაბი—ალლენ შტეინში.

პირველი კორპუსის გენერალ-ინსპექტორად ითვლება გენერალ-პოლკოვნიკი ფონ პრიტტვიც გაფფონ (დაიბ. 1848 წ). 1866 წ. ავსტრიასთან და 1871 წ. საფრანგეთთან ომის მონაწილე.

**მეორე საარმიო ინსპექცია** (შტაბი-ბერლინი) ექვემდებარება ყოფილ სამხედრო მინისტრს ინფანტ. გენერალს ფ.—ხეერინგენს (დაიბ. 1850 წ.) საფრანგეთ პრუსსის ომის მონაწილეს 1871 წ. ამ ინსპექციაში შედის: გვარდიის კორპუსი (ინფანტ. გენერ. ბარონ პლეტტენბერგი) მეთორმეტე კორპუსი (გენერ. დელზა) და მეცხრამეტ. კორპუსი (გენ. ფ.—კირხბახი).

მეშვიდე, მეცხრე და მეათე კორპუსები შეადგენენ **მესამე საარმიო ინსპექციას.** (შტაბი—ჰანოვერში). გენერალ ინსპექტორი ფონ-ბიულოვი, მონაწილეა 1866 და 1870 წლ. ომებისა. მესამე საარმიო და 1, 2 და 3 ბავარიის საარმიო კორპუსები შეადგენენ **მეორე საარმიო ინსპექციას** (შტაბი—მიუნხენი) გენერალ ინსპექტორად არის პრინცი რუპრეხტ ბავარიელი. **მეხუთე საარმიო ინსპექციაში** შედიან მერვე, მეთორმეტე და მეთხუთმეტე კორპურსები. (შტაბი—კარლსრუე) გენერალ-ინსპექტორია ფრიდრიხი, დიდი ჰერცოგი ბადენისა.

მეოთხე, მეთერთმეტე და მეცამეტე საარმიო კორპუსები ექვემდებარებიან გენერალ-ინსპექტორს **მეექვსე საარმიო ინსპექციისას** (შტაბი-შტუტგარტი) გენერალ ინსპექტორი პერცოგი ალბრეხტ ვიურტემბერგელი.

**მეშვიდე საარმიო ინსპექციაში** შედიან მეთექვსმეტე, მეჩვიდმეტე და ოცდამეერთე კორპუსები. გენერალ-ინსპექტორი ფ.—ეიხგორნი.

მეორე, მეხუთე და მეექვსე კორპუსები შეადგენენ **მერვე ინსპექციას** (შტაბი-ბერლინი), რომელსაც ინსპექტორობს გენ. ფ.—კლუკი.

გენერალურ შტაბის უმფროსად 1906 წლიდგან არის გენ-ად. ხელმუტ ფონ-მოლტკე, ძმის წული სახელ განთქმულ სტრატეგის გრაფ მოლტკესი. გენერალი მოლტკე 66 წლისაა და იმპერატორ ვილჰელმის განუსაზღვრელ ნდობით არის აღჭურვილი.

# პირველი ბრძოლა ჰაერში.

ფრანგ ავიატორ გარროს სიკვდილი, რომელმაც გერმანული ჰაერის დრედნოუტი „ცეპპელინი“ დაღუპა, ახალ ხანას ჰქმნის თანამედროვე ომში.

ომი ცაში, ჰაერში!

შეეძლოთ განა ამის თუნდ წარმოდგენაც თვით უგენიოსეს მხედრებს წარსულის საუკუნოებისას?!

თუმცა ავიატორ გარროს ბრძოლა მხოლოდ პირველი შეტაკება იყო იმ ბრძოლისა, რომელიც ახლო მომავალში უნდა მოხდეს ჰაერზედ, მაგრამ მან უკვე დიდი დაღი დაჩნია ჰაერში ბრძოლის მნიშვნელობას.

მან გვიჩვენა, რომ „ცეპპელინი“ (გერმანელების გამოგონება), მიუხედავათ თავის სიდიადისა და ძლიერის შეიარაღებისა, უიმედო იარაღია ჰაერში ბრძოლისა.

გარრომ თავისი შესანიშნავი თავდასხმა მორან-სოლნიეს მონოპლანით მოახდინა, რომლის სიგრძე 6, 5 მეტრია; იმ დროს, როცა დაღუპული „ცეპპელინის“ სიგრძე 150 მეტრს უდრიდა. (ე. ი. 23 ჯერ მეტი).

როგორც კი საფრანგეთში ცნობა მიიღეს, რომ ბრიუსელის თავზედ სამი დირიჟაბლი დაფრინავს და საფრანგეთისკენ აპირობენ წამოსვლას, მათ დასახვედრად საფრანგეთის საზღვრებიდგან გამოფრინდა ავიატორი გარრო.

თავდასხმის იარაღათ მან აირჩია სწრაფმავალი ერთ-ადგილიანი (120 კილომეტრი საათში) მონოპლანი მარან-სოლნიესი, წინ გამზადებულ მამოძრავებელით და ჰაეროვან ჭახრაკით. ამ ჩქარ-მავალ აპარატს „ცეპპელინი“ ვერსად წაუვიდოდა, რადგანაც მისი სისწრაფე საათში მხოლოდ 75 კილომეტრია.

გარროს ეშინოდა, რომ „ცეპპელინს“ იმ მხრიდან არ შეჰყროდა, სადაც მას ზემო ბაქანზედ და ნავში ტყვიის მტყორცნელები აქვს. ამიტომ გარრო სწრაფად დირიჟაბლის გვერდის ნაწილს დაეტაკა.

ამ დატაკების დროს მას ვერ მოვხდებოდა ვერც ზემო ბაქანის, ვერც ნავში მყოფი ტყვიის მტყორცნელები. იგი დაეტაკა წინ მომუშავე ჭახრაკით და მამოძრავებელით და სწრაფად დახია დირიჟაბლის კანი. ნახევიდგან იმწამსვე წყალბადი გამოვიდა. მამოძრავებელით დამუშავებულ გაზების ალმა მსწრაფლ მოიცვა დირიჟაბლი, ერთი წუთიც და მოხდა საშინელი აფეთქება. ერთსა და იმავე დროს აფეთქდენ როგორც დირიჟაბლის ნაწილები, აგრეთვე ბენზინის სამყოფები, და დირიჟაბლიდგან ხოლოდ მოგონება დარჩა.

დირიჟაბლში მყოფნი ყველა დაიწვენ, დაიწვა თვით მამაცი გააროცი.

# იმპერატორი ვილჰელმი

იმპერატორი ვილჰელმის ერთს ძველ მეგობრათ ითვლებოდა მხატვარი კოსსაკი. იგი შთამომავლობით პოლონელია, აღზრდით—ფრანგი, სამსახურით—ავსტრიის ოფიცერი, ხელობით კი—მხატვარი. კოსსაკი, როგორც პიროვნება, მეტათ საინტერესოა და კარგს შთაბეჭდილებას ახდენს. მისი დახატული სურათები იმპერატ. ვილჰემს ძლიერ მოსწონდა და ამიტომ იგი მიიწვია სასახლის ლეიბ-მხატვრათ და როდესაც იმპერატორი წავიდოდა ან აღლუმზე ან სანადიროთ, მას კოსსაკი ყოველთვის თან დაყავდა და უყვარდა მასთან საუბარი სხვადასხვა თემაზე. განსაკუთრებით მუსაიფობდენ საუზმისა და ვახშმის დროს.

განვლო დრომ, და იმპერატორს გადაავიწყდა, რო მხატვარი კოსსაკი სხვა ქვეყნის იყო და ამასთანავე პოლონელიც, ამიტომ ყველაფერს გულახდილათ უამბობდა. უამბობდა თავის შეხედულებას სხვადასხვა შემთხვევაზე, სხვადასხვა პირზე და ხალხზე. კოსსაკი ყოველივე ამას მოთმინებით უსმენდა, ვიდრე იმპერატორი პოლონელებს არ შეეხებოდა ხოლმე. მაგრამ მაშინ კი მოთმინების ფიალა აევსო, როცა იმპერატორმა ვილჰელმმა გაპატისტების კავშირის თავჯდომარეობა მიიღო თავის-თავზე.

და ერთხელ იმპერატორმა პოლონელებს უწოდა პარაზიტები, რომელნიც გარშემო ღრღნიან ნემცების სახელმწიფოს. კოსსაკმა, გულმოსულობისგან შეწითლებულმა, სთქვა:

— თქვენო იმპერატ. უდიდებულესობავ! თქვენ კეთილს ნებულობთ და ზიხართ ერთ იმ პარაზიტთაგან, რომლის შესახებაც არა ერთჯერ წარმოგითქვიათ ქება...

იმპერატორმა ვილჰელმმა არაფერი არ უპასუხა, მხოლოთ ულვაშები წაიკვნიტა, წამოხტა და კარების გარახუნებით გავიდა.

ხუთ წამს შემდეგ კოსსაკს ფილგელ ადიუტანტმა განუცხადა იმპერატორის ბრძანება, რო მას იმ წამსვე სასახლე დაეტოვებია.

შეურაცხყოფილმა კოსსაკმა ამ მოკლე დროში გამოსცა წიგნათ თავის მოგონებანი, ისინი მეტათ საინტერესონი არიან, განსაკუთრებით ახლა. აი, როგორ მსჯელობდა თურმე იმპერატორი ვილჰელმი რუსეთის შესახებ:

— ეს სკვითების ქვეყანა მე მოსვენებას არ მაძლევს.—სთქვა თურმე მან ერთხელ.

— არსებითათ ევროპა გერმანიის საზღვარზე თავდება.—უთქვამს მას მეორეთ.

— რუსის „მუჟიკი“—ეს ნამდვილი შარბაროსია ატილის რაზმისა, მას უყვარს მხოლოდ ლანძღვა.

საყურადღებოა შემდეგი: კარგია რუსეთის განათლება?

რუსეთი რომ განათლდეს, მაშინ გერმანია უნდა მოისპოს დედა-მიწაზე.

კოსსაკის სიტყვით, იმპერატორ ვილჰელმს ისე სძულს რუსები, რო მათზე მუსაიფი დამშვიდებულათ არ შეუძლია.

# ჟურნალ-გაზეთებიდან

### რუსეთის პოლონეთი.

უკანასკნელ ამბებმა რამოდენიმედ გაფანტა მძიმე ატმოსფერა. საზღვრების დმოჟნათა მოხელეებს მიწერილობა მიუვიდა, დარჩენ ვარშავას და პირველ შეძლებისათანავე თავ-თავიანთ პოსტებს დაუბრუდენ. ვაგონების რიცხვი გადიდდა ვენის რკინის გზის ლიანდაგზე. თუ წინეთ მატარებლები მხოლოდ ლოვიჩამდე მიდიოდა, დღეს კუტნამდე აღწევენ. სხვა და სხვა საქონელზე ფასის აწევა შეჩერდა. მაგრამ უფულობა გრძელდება, სახელმწიფო და კერძო ბანკებს აუარებელი ხალხი ახვევია. ბანკები შემოტანილ თანხის მხოლოდ ნაწილებს იძლევიან. მაგისტრატის სახელზე სახელმწიფო ბანკი ნახევარ მილიონის გაცემა დაჰპირდა სამოქალაქო კომიტეტს. ბანკებმა უარი განაცხადეს ბონების გაცემაზე. შემოიღეს სამხედრო ცენზურა. ლოძაში ქარხნების დიდ უმრავლესობაში მხოლოდ სანახევრო მუშაობაა. ერთი წილი სრულიად გაუქმებულია. აუარებელი მუშა სოფლად მიდის, სადაც დიდი საჭიროებაა მუშა ხელისა. მოხდა სხდომა სამოქალაქო კომიტეტისა; ამ სხდომაში მონაწილეობას იღებდენ: ცეხები, საპროფესიო კავშირები და მომხმარებელი საზოგადოებანი.

### ფინლანდია.

ომის და სამხედრო წესების გამოცხადება საყოველთაო ცხარი ბაასის საგანია. რუსებ შორის აშკარა პატრიოტულ გრძნობის სუფევის გამო, აქ ფინლანდიელები ერიდებიან თავიანთ გრძნობის გამოაშკარავებას. მაგრამ მაინც აქაურების განწყობილება დიდ-თ განირჩევა იმ განწყობილებისაგან, რომელიც მეფობდა რუსეთ-იაპონიის დროს, როდესაც ფინლანდიელთა უკმეხობას საზღვარი არ უჩანდა. კაგალი თითქოს არც აჩენს თავის მოქმედებას. თუმცა კაგალურმა პრესამ შვედომანურ „დაგენს პრესეს“ მეთაურობით დაბეჭდა მთელი რიგი საპროტესტო წერილებისა წინააღმდეგ ფინლანდიაში მიღებულ მოგერებითი ზომებისა და ასაშფოთარის დაურიდებლობით მხოლოდ იმაზე სწუხს, ამ ზომებმა ფინლანდიის ინტერესები შეაფერხაო. ვიდრე ფინლანდიის სამხედრო წესებს გამოაცხადებდენ, იქ ხშირი იყო მაგალითი ჩვენი სამხედრო საიდუმლოს გამჟღავნებისა. ამ გვარ გამჟღავნებისათვის ვიბორგის საციხოვო რაიონიდან გაგზავნილ იქნა რედაქტორები. „Työ“-სი და „Wivorgs-Nyheter“-ის ბევრ გაზეთს კონფისკაცია უყვეს.

### როგორ ეპყრობიან რუსეთში გერმანელებს.

ის დაცინვა და შეურაცხყოფა, რასაც რუსები განიცდიან გერმანიაში, მღელვარებას იწვევს რუსეთის ახალგაზდობაში; მღელვარება გერმანელების მიმართ დღითი-დღე იზრდება და მოქმედებაში გადადის. რამოდენიმე ათასი კაცი „ძირს გერმანელები“ და „დაჰკათ მათ“-ის ყვირილით ნევის პროსპექტისაკენ გაიმართა. ამ დროს ვიღაცამ ხალხიდან დაიყვირა,—ბალის ქუჩის კუთხეში გერმანელთა ყავახანაა, და იმ დროს, როდესაც ჩვენ აქ პატრიოტულ გრძნობებს ვაცხადებთ, ვინ იცის იქნებ გერმანელი ჯაშუშები ფანჯრებში გადმომდგარი იყვნენ და გვითვალთვალებდენ, რომ ყველაფერი თვით მთავრობას მოახსენეო. ხალხი ყავა-ხანაში შეიჭრა, მილეწ-მოლეწა იქაურობა, მოითხოვა ყავა-ხანის დაკეტვა. პოლიციის ბრძანებით ეს მოთხოვნა სისრულეში იქმნა მოყვანილი. შემდეგ ბრბო გაემართა გერმანულ გაზეთის „ცაიტუნგის“ რედაქციაში. კარის კაცები მიაგდ-მოაგდეს და შიგ ძალით შევიდენ. რედაქციაში არავინ აღმოჩნდა, დალეწეს იქაურობა. ამავე დროს ახალგაზდობის მეორე ჯგუფი იხლერის წიგნის მაღაზიისკენ გაემართა; ჩალეწა ვიტრინები და დაამსხვრია აივანი. ამავე დროს ნევის პროსპექტზე, მიხეილის ქუჩის პირდაპირ, პასაჟირებმა მოითხოვეს ტრამვაის გაჩერება. ხალხი ამხედრებულიყო ერთი სათადარიგო საზღვაო აფიცრის ფორმაში გამოწყობილი ვაჟბატონის წინააღმდეგ, რომელსაც დაცინვით მოეხსენებია რუსეთის ფლოტი და შეუქია გერმანიისა. ამ აყალმაყალს მანიფესტანტებმაც მოუსწრეს; დაიწყეს ყვირილი: „ჯაშუშია, ჯაშუში, ჩქარა საკომენდატოშიო.“ მივარდენ, სტაცეს ხელი და საკომენდატოში წაათრიეს.

### როდიჩევის და აჯემოვის დატუსაღება.

სათათბიროს წევრი როდიჩევი და აჯემოვი გერმანიაში დაატყვევეს როგორც სამხედრო ტყვენი და რიუგენში გაგზავნეს.

### ვილჰელმის წერილი იტალიის მეფისადმი.

ვილჰელმი ძლიერ უკმაყოფილოა, რომ იტალია გაჩუმებულია. მან საყვედურის წერილი მისწერა იტალიის მეფეს ვიქტორ-ემანუილსა.

# თადარიგი შავი ჭირის წინააღმდეგ.

### როგორ ვრცელდება შავი ჭირი?

ერთ-ერთი გზა შავი ჭირის გავრცელებისა ის არის, რომ ეს საშინელი სენი კაციდან ედება კაცს. მაგალითად, თუ ვისმე შავი ჭირის ბაცილებისაგან ფილტვების ანთება გაუჩნდა, ამგვარი ავათმყოფის ჭირისუფალი ადვილად შეისუნთქავს ცხვირიდან ჭირიანის ამონახველის შხეფებს და შეიყრის ამგვარადვე ფილტვისავე ჭირს, რომელიც, როგორც ვიცით, უკურნებელია, მაშასადამე, მოჰვლელს ცხვირ-პირი დაფარული უნდა ჰქონდეს პირბადეთი, ხშირად უნდა დაიბანოს ხელები სულემის ან კარბოლის საპნითა და სხ.

აზიის ზოგიერთ ალაგას, სადაც ჩვეულებად აქვთ მკვდრების გაბანვა, ხშირად ემართება ფილტვის ჭირი იმას, ვინც ჭირისაგან მომკვდარსა ბანს, რადგან ჭირის ბაცილებით გასვრილი ხელით ჭამის დროს ის სვრის ამ ბაცილებით პირსა და სასას, საიდანაც შემდეგ ბაცილები ადვილად იკვლევენ გზას ბრონხებისაკენ და ედებიან ფილტვებს.

უფრო ხშირად კი ჭირი ედება კაცს მინდვრისა და შინაური თაგვებისა და ერთგვარი მინდვრის მაჩვის შუამავლობით. აზიაში, სადაც ამგვარ მაჩვებს იჭერენ და ატყავებენ (მათი ტყავი ძვირად ფასობს), ხშირია, როგორც ფილტვისა, აგრეთვე ჭირკვლის ჭირი. შემდეგ ჩნდება ამგვარი მოჯადოებული წრე. თაგვისაგან ედება ჭირი თაგვებსა და თაგვისაგანვე კაცს, კაცისაგან კი კაცსა და თაგვსავე.

როგორ შემოდის ჩვენში ჭირი? 1) შეიძლება ჩვენში შემოიტანოს ეს სენი ჭირით სნეულმა იქიდან, სადაც ჭირი ჩვეულებრივია; 2) შეიძლება შემოჰყვეს ჭირი იქიდან მოტანილ მაჩვის ტყავს; 3) შეიძლება შემოჰყვეს ჭირი იქიდან მოტანილ პურს, ე. ი. თაგვის ცურცლს, რომელიც პურს ხშირად ურევია, უკანასკნელ შემთხვევაში კი, თუ ჩვენებურმა თაგვმა შეჭამა ეს ცურცლი,—ჭირი შეეყრება და გადაედება ჯერ თაგვებს და შემდეგ კაცსაც.

როგორ ედება ჭირი კაცს თაგვისაგან? რწყილის შუამავლობით. მოკვდება თუ არა ჭირიანი თაგვი, მისი რწყილები იმ წამსვე სტოვებენ მას, შეესევიან კაცს, უკბენენ და მოსწამლენ ნაკბენს ჭირის ბაცილებით. ბაცილები გაიკვლევენ გზას ნაკბენიდან, გაჩერდებიან და გამრავლდებიან ახლობელ ჯირკვალში და გაასივებენ ჯირკვალს, ე. ი. გააჩენენ ჯირკვლის ჭირს, რომელიც აგრეთვე მომაკვდინებელია მეტ წილად, მით უფრო, რომ ჯირკვლიდან ბაცილები ხშირად იკვლევენ გზას, შედიან სისხლში და ითესლებიან სხეულის ყველა ნაწილში.

მაშასადამე, რა გზითაც უნდა შემოვიდეს ჩვენში ჭირი, უმთავრესი შუამავალი ჭირსა და კაცს შორის—თაგვია. და, თუ გვინდა ვებრძოლოთ ჭირს, უნდა ვებრძოლოთ უწინარეს ყოვლისა თაგვს. ამგვარი თადარიგი მეტადრე მაშინ არის საჭირო, როდესაც თაგვი ბევრი იხოცება და კაცს აღარ ერიდება, რადგან ეს—შავი ჭირის ნიშანია.

სამწუხაროდ, მეცნიერებამ ჯერ ვერ აღმოაჩინა თაგვის გასაწყვეტი საშუალება. თაგვი ერთობ გონიერი და ფრთხილი ცხოველია და ერიდება საწამლავსა და მახეს. ამას გარდა ძლიერ მრავლობს. ცხადია, უნდა ვიხმაროთ ერთიც და მეორეც, მაგრამ უნდა ვიცოდეთ კი, რომ ამ გზით არ შეგვიძლია გავწყვიტოთ ეს მავნებელი ცხოველი.

ამიტომ, უკანასკნელ ხანს თაგვისაგან საუკეთესო თავდასაცავ სათადარიგო საშუალებად ის ითვლება, რომ—თაგვი შინ არ უნდა შეუშვა, ე. ი. ყოველი გზა, ხვრელი უნდა შეუკრა, დაუკეტო. ამიტომ იატაკი არ უნდა იყოს დახვრეტილი, ფიცრები პირწმინდათ უნდა იყოს მიშვებული ერთმანეთთან, იატაკსა და კედელს შორის ხვრელები უნდა გამოგლისო ცემენტითა და სხვა მასალით, შკაფებშიაც არ უნდა იყოს ხვრელები, არც ფეხისადგილს არ უნდა ქონდეს შესასვლელი ხვრელები, ბეღელი ხომ სრულიად უზრუნველყოფილი უნდა იყოს ამ მხრით.

ამას გარდა საჭიროა ბრძოლა რწყილთანაც. მაშასადამე, ხშირად უნდა სწმინდო და ასუფთავო იატაკი, კედელი და სხ. სკიპიდარით, ნავთით, კარბოლის თხელადისა და ძმრის ესსენციის ხსნილით, კირწყლითა და სხ. ფეხის ადგილს ყოველდღე უნდა მოახსა აგრეთვე კირწყალი და, თუ საჭირო იქნა, კარბოლის თხელადის ხსნილი. ამიტომ ძლიერ მავნებელია კედლებზე შპალერის გაკვრა, რადგან შპალერი სიბინძურისა და სხვადასხვა მავნებელი მწერის ბუდეა. პირიქით, კედელი კაცის სიმაღლეზე—კაცი რომ არ გაისვაროს—ზეთიანი საღებავით უნდა იყოს შეღებილი, ზევითკენ კი კირწყლით, რადგან ამგვარი კედლის გაწმენდა სულემის ხსნილით (სადაც ზეთიანი საღებავია) და კირწყლით (ზევითკენ) ხშირად არის შესაძლებელი.

ერთი სიტყვით, დაიცავით თავი თაგვისა და მისი რწყილისაგან,—და უზრუნველყოფილი იქნებით შავი ჭირისაგან.

ექიმი ვასილ წერეთელი.

# ქუთაისი

### ახალი ამბავი.

გუშინ 2 აგვისტოს საკრებულო ტაძარში, ქალაქის გამგეობამ გადაიხადა პარაკლისი, რათა რუსის მხედრობას მიენიჭოს გამარჯვება. პარაკლისს დაესწრო ბ-ნი ქუთაისის გუბერნატორი კამერგერი ლ. ნ. პოტულოვი და სხვა ცნობილი პირები.

✦ 1 აგვისტოს საღამოს 7 საათზე, ბალის ქუჩაზე ბიკტორ ბასილაძის სახლში შესულა ვიღაც ბოროტგამზრახველი მას გაუტაცია საკერავი ზინგერის მაშინა № E 1174218.

✦ თფილისიდან ფოთამდის საქონლის მატარებელმა უკვე დაიწყო ჩვეულებრივი მიმოსვლა ყველაზე უსაჭიროესი სანოვაგის გადასაზიდავათ და ბაქოდან ფოთამდის ნავთის გადასაზიდავათ.

✦ 14 აგვისტოს გამოცხადდება უკანასკნელი სია იმ პირების, ვისაც ნება ექნება 1914—18 წ.წ. ქალაქის ხმოსნების ამრჩევისა. ხოლო ამომრჩევლებმა თუ ამ მოკლე ხანში ქალაქის გამგეობაში ყოველივე ანგარიშები არ გაასწორა იმ შემთხვევაში ხმა დაეკარგებათ.

✦ 5 ივლისს საოლქო სასამართლოში გაირჩევა: იულონ კარტოზიას, მაქ. დგებუაძისა და გიორგი გუგუშვილის საქმე.

✦ 31 ივლისს და 1 აგვისტოს განსაკუთრებულმა კომისიამ ქალაქის თავის ი. მ. ჩიქოვანის თავჯდომარეობით ომიანობის დროს ყველაზე უსაჭიროეს სანოვაგეზე ქუთაისში შემდეგი ყველასათვის სავალდებულო დროებითი ნიხრი დაადგინა.

1) პურის ფქვილზე: პარამანოვის, ბარანოვის, სოლოდოვის, ლამამინის და დიცმანის წისკვილებისა 5 ფ. ტომრებში: მე 4 ხარისხის 9 მან. და 1 აბაზიდან 9 მან. და 9 შაურამდის; მე-5 ხარისხის 8 მან. და 19 შ.—9 მან. და 1 აბაზამდი; მე 6 სარისხას 7 მან. და 10 შ.—8 მან. და 15 შაურამდის. და მე 7 ხარისხის 7 მან. და 5 შაურ. 7 მან. და 15 შაურამდის.

2) შაქარზე: ბობრიცკის და ბროდსკის ქარხნებში: 1 ხარისხი—ფუთი 6 მ. 3 აბ. გირვანქა 17 კ. სხვა ქარხნის 1 ხარისხის ფ. 6 მ. 40 კ. გ. 16 ნახევარი კ., ჩანაყარი 1 ხარისხის ყველა ქარხნებისა ფუთი 6 მ. 40 კ. გ. 16 ნახ. კაპ. პრესში გავლილი 2 ხარისხ. ყველა ქარხ. ფუთი 5 მ. 90 კ. გ. 15 კ., დაფშვნილი ფუთი 5. მ. 10 კ., გ. 13 კ.

3) ნავთზე; ბოჭკობით ფუთი 1 მ. 80

[library stamp]

სავაჭრო სახლი **ი. გოკიელის** შვილების ქუთაისში.

ამით საყოველთაოდ აცხადებს რომ, **ზომიერ ფასებში** მიღებულია და იყიდება საუკეთესო ხარისხის საზღვარგარეთის **ჯიბის წიგნები,** პორტფელები, უბის წიგნაკები (კნიჟკები), საანგარიშო რვეულები, ყოველ ნაირი საწერი, საბეჭდავი და ფოსტის ქაღალდები.

დიდი ლამპების, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და ელექტრონის მოწყობილება ქ. ქუთაისში.

## ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძისა.

მიხაილოვის ქუჩა,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებები; ვასრულებთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სიაფით ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე, მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, ლინოლეუმი საუკეთესო განთქმული ქარხნებისა და სხვა პა... ნინოები და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულიანადღ; ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია. ელექტრონის მოწყობას თვალყურს ადევნებს ჩვენგნით სპეციალურად მოყვანილი ხარკოვში უმაღლესი სწავლა დამთავრებული ელექტროტეხნიკი.

პატივისცემით ნ. გ. რაფაელოვი და პ. ნ. ჩაკვეტაძე.

## Тифлисская контора Акціонернаго Общества пробочной мануфактуры ВИКАНДЕРЪ и ЛАРСОНЪ

симъ имѣетъ честь довести до свѣдѣнія почт. покупателей, что нашъ „ЛИБАВСКІЙ ЛИНОЛЕУМЪ" въ КУТАИСѢ имѣется въ продажѣ исключительно въ магазинѣ Ф. С. ФИЛИППОВА. Въ виду того, что въ газетѣ „ИМЕРЕТИ" недавно появилось объявленіе одной кутаисской фирмы, съ предложеніемъ „Либавскаго Линолеума", считаемъ своимъ долгомъ предупредить лицъ интересующихся этимъ матеріаломъ, что названіе „Либавскій Линолеумъ" принадлежитъ только производству нашихъ заводовъ и что помимо Ф. С. Филиппова въ Кутаисѣ на линолеумъ у насъ перепродавцовъ нѣтъ. Рекомендуя этотъ фабрикатъ какъ лучшую и гигіеничную настилку для половъ просимъ за смѣтами и другими справками обращаться къ названной выше фирмѣ.

დიდი ლამპების, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობისა და შპალიერისა ქ. ქუთაისში.

## ფ. ს. ფილიპოვისა.

ალექსანდრეს ქუჩაზე,

მოგვეპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილობა; ვასრულებთ ელექტრონის მოწყობას ჩვენის მასალითა და გარანტიით დიდ სიაფით ფასებში და ყველა კონკურენციის გარეშე. მოგვეპოვება აგრეთვე ყველანაირი საოჯახო სამკაული, ნავთის სამოვრები, ღუმელები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი ლინოლეუმი, განთქმული ლიბავის ქარხნის „ვიკანდერ და ლარსონის" სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი საოჯახო ნივთი. ვაჭრობა დანიშნულია ნაღდ ფულზე, რის გამოც ფასები ყველა საქონელზე ძლიერ დაკლებულია.

პატივისცემით ფ. ფილიპოვი.

კ., ფუთობით 1 მ. 90 კ., გირვანქობით 5 კ.

4) მაზუთზე: ფუთი 74 კ.

5) მარილზე ფუთი 40 კ.

6) ფურაჟზე სიმინდი ფუთი 1 მ. 10 კ. სიმინდის ფქვილი 1 მ. 50 კ., ქატო 80 კ., ქერი 1 მ. 10 კ.

7) თივაზე: 1 ხარისხისა 70 კ., 2 ხარ. 60 კ.

და 8) ბზეზე: ფუთი 35 კ.

✦ ამ რამდენიმე თვის წინათ ლეკვინაძეების შესახვევის (მესამე ალექ. ქუჩაზე) მცხოვრებლებმა თხოვნა შეიტანეს ქალაქის გამგეობაში, რომ ხსენებული შესახვევის გზა გაკეთებულიყო, ხოლო იმ პირობით, რომ ორ წილს ამ ხარჯისას ისევ მცხოვრებლები გადაიხდიდენ. ქალაქის გამგეობამ საჭირო იცნო ამ გზის გაკეთება და სისრულეშიც მოიყვანა, მაგრამ საუბედუროთ გზა ძლიერ ცუდი გამოდგა. როგორც ჩანს მუშაობის დროს ამ გზას ტეხნიკი სულაც არ მიკარებია. ეზოებზე „მასტავოი" სიმაღლით ბევრათ აშორებული არის და ცალი მხრით გადაფერდებული. გზას განაპირათ ნიაღვარის თხრილებიც არა აქვს. 30 ივლისს, როცა დიდი წვიმა მოვიდა, ამ გზიდან ეზოებში ნიაღვარი შევიდა და სარდაფები წყლით აივსო. საწყალი მცხოვრებლები დიდ ქეთქში გარეთ გამოვარდენ და ცალი მხრით გზას თხრილის კეთება დაუწყეს რომ ნიაღვარიდან სახლები აღარ ავსებოდათ. ასეთი გზის გაკეთებას ისევ უგზოობა სჯობდა. კარგს იზამს ქალაქის საამშენებლო განოყოფილება ასეთ ვარემოებას ზედ მეტ ყურადღებას მიაქცევდეს.

✦ 1 აგვისტოს ქალაქის გამგეობამ უკვე შეადგინა იმ პირების ჰირისუფლების სია რომელნიც სათადარიგო ჯარის კაცებათ არიან გაწვეულნი.

✦ დღეს 3 აგვისტოს ქუთ. ქართულ გიმნაზიის მერვე კლასში დანიშნული არის ეგზამენი სამართლის ცოდნაში.

✦ გუშინდელ ჩვენ გაზეთში მოთავსებული ფელეტონი ეკუთნის თამარაშვილს.

## უდროვოთ დაკარგული ამხანაგის ხსოვნას.

ცხადია, რომ სიკვდილი ყოველი მიწიერი არსისათვის თავზარდამცემი ბუნების კანონის შედეგია. მაგრამ ამ მოვლენის საშინელებას თანდათან ურიგდება ადამიანი და სხვა პროცესებთან ერთად იმასაც ფიზიკური ცხოვრების ნორმალურ დასკვნათ აღიარებს. ხოლო სიკვდილი მთელი თვისი საშინელებით ადამიანის წინაშე წარსდგება განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი ჯერ კიდევ გაუფურჩქვნელს, მაგრამ საკმაოთ ძლიერს, ადამიანში არსებულს ძალას სამყაროს უბრუნებს. ცოცხალი ადამიანის გულს მით უფრო დაღარულს ვხედავთ, როცა იგი უყურებს დაუშრეტელი ენერგიის წყაროს-ნორჩი ჭაბუკის ცხედარს სიკვდილისაგან დამჭკნარ-დაფერფლილს; კაცი სული მით უფრო განიცდის სასოწარმკვეთელ დრამას, რამდენადაც იგი გრძნობს თავის სისუსტეს სიცოცხლის უდროვოთ მომსპობის წინაშე, რამდენადაც ცხადია მისთვის მედიცინის უძლური ძალები.

ყოველივე ამას იფიქრებდა და განიცდიდა ყველა ის, ვინც რამდენიმეთ მაინც იცნობდა აწ განსვენებულის მე-8 კლ. მოწაფის გიორგი ჟორჟოლაძის ცხოვრებას; მეც ჯერ კიდევ გაუნელებელმა შთაბეჭდილებებმა მაიძულეს მოვაგონო ამხანაგებს და გავაცნო საზოგადოებას უდროოთ დაკარგული ამხანაგის და შვილის სიცოცხლე.

გარდა ამხანაგების პატარა ჯგუფისა გიორგის ნაკლებათ იცნობდენ, რადგან ულმობელმა სენმა აიძულა განსვენებული ორი წლით მოსცილებოდა გიმნაზიას და აპასთუმანს გადასახლებულიყო. მაგრამ გიორგის დახასიათება იმ ერთი მუჭა ამხანაგებისაგანაც საკმარისია იმისათვის, რომ ყოველ გრძნობიერს კაცს გული ბოღმით აევსოს და სავსებით განიცადოს თვისი უძლურება ბუნების წიაღში.

მოდით და შეაკავეთ აღტყინებული გულის წყრომა მაშინ, როცა სალი-კლდისებური ნების მქონე ახოვანის სხეულს დაშლილს უყურებთ; არა, არ შეუძლია არ დანაოჭდეს კაცის შუბლი მაშინ, როცა ფართო იდეალებით გაშუქებული ახალგაზდის მაგიერ უყურებს მოდუნებულს გვამს, როცა შადრევანივით მცემარე ენერგიის მაგიერ არარაობა რჩება. ასეთი თვისებებით იყო შემკული გიორგი, ასეთი იყო მისი ბუნებრივი ავლა-დიდება. მაგონდება, თუ როგორის აღფრთოვანებით გვიკეთებდა ამხანაგებს მაგალითებს ფიზიკაში მასწავლებლის მონდობილებით მე-7 კლასში ყოფნის დროს; თვალ წინ მიდგას ისიც, თუ როგორის გატაცებით ეტანებოდა გიორგი მეცნიერულს წიგნებს და უკანასკნელი კაპეიკიც კი მისთვის არ ეშურებოდა (განსვენებულის სურვილის თანახმად ამ წიგნებს ქართულ გიმნაზიას გადასცემენ). წიგნი იყო უკანასკნელი ორი წლის მუდმივი მწოლიარე ავათმყოფობის დროსაც გიორგის მასულდგმულებელი მეგობარი. მეტია ლაპარაკი იმაზე, თუ როგორი ნაზი გრძნობების პატრონი იყო ნეტარხსენებული.

„განა საწუთრო ვინმეს დიდხანს ახარებს"-ო სთქვა მგოსანმა და გიორგისებურათ იშვიათად აღსრულებულა ეს სიტყვები. ულმობელმა სენმა დაგვიკარგა ამდენი ძალა გაუფურჩქვნელი უნაყოფოთ. ვერ ვიტყვი, რომ საზოგადოება იტირებს უცნობ შვილს; ხოლო ამხანაგობას კი ყოველთვის დაუსოვლდება თანამგრძნობი ღაწვები დაუვიწყარი ამხანაგის გიორგის მოგონებით.

სტ. ეფრემ ჩახუნაშვილი.

რედაქტორ-გამომცემელი ბ. ჯაიანი.




## განცხადება.

ქუთაისის წმ. ნინოს ქალთა სასწავლებელი

ამით აცხადებს, რომ

**1. თავისუფალი ადგილები არის ყველა კლასში, 2. თხოვნები და საჭირო მოწმობები მიიღება 20 აგვისტომდი. 3. გამეორებითი და მისაღები გამოცდები დაიწყება 21 აგვისტოდან.**

მერვე კლასში შესვლის მსურველმა თხოვნებთან ერთად უნდა წარმოადგინონ ნახევარი წლის გადასახადი 57 მან. 50 კაპ. წინააღმდეგ შემთხვევაში, საბჭო არ განიხილავს მათ თხოვნებს. თხოვნებთან ერთად უეჭველათ უნდა იქნას წარმოდგენილი უწმ. სინოდის კანტორის მეტრიკული მოწმობა და არა ამოწერილობა.

## შექსპირი ქართულად!

გამოცემა **ივანე მაჩაბლის** თარგმანებისა.

**მიიღება ხელის მოწერა ივ. მაჩაბლის მიერ ნათარგმნ**

## შექსპირის

რვა ტრაგედიის გამოცემაზე: (ჰამლეტი, ოტელო, მეფე ლირი, მაკბეტი იულიოკეისარი, ანტონიუს და კლეოპატრა, კორიოლანოს და რიჩარდ მესამე). - გამოცემა იქნება ერთ წიგნად და შეიცავს ათასამდი გვერდს, დიდი ფორმატისას. გამოცემას დაერთვის ბიოგრაფიები შექსპირისა და ივანე მაჩაბლისა და მათივე სურათები. ფასი ხელის მოწერით: 3 მან. შემდეგ ფასი გადიდებული იქნება. ვისთვისაც ერთად ფასის გადახდა სამძიმოა,—მათთვის ხელის მოწერა განაწილებულია სამ ვადად: **პირველი** შემოსატანი—1 მან. მეორე—პირველ ნოემბერს 1 მ., და მესამე—1 მ. 7 იანვარს 1915 წელს.

წიგნი დარიგდება 1915 წელს თებერვლის განმავლობაში. ხელის მოწერა მიიღება **თფილისში:** ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების წიგნის მაღაზიაში და გამომცემლის საკუთარ ბინაზე (ოლგას ქუჩაზე, 52), და **ქუთაისში** მთავრიშვილისა და ოცხელის წიგნის მაღაზიებში და ისიდორე კვიცარიძის კანტორა „იმერეთ"-ში გამომცემელი **ქნ. ანასტასია ალექს. ასული მაჩაბლისა**

კონსტანტინე ივ. ძის ოცხელისა და ამხ.

✖ ✖ წიგნის მაღაზიის ახალი გამოცემა ✖ ✖

იბეჭდება და მალე გამოვა გასაყიდათ:

არითმეტიკული ამოცანებისა და რიცხვითი სავარჯიშოების **კრებული**

პირველ დაწყებითი შკოლებისათვის, შედგენილი ქუთაისის საიზნაურო შკოლის მასწავლებელთა მიერ.

კრებული დასურათებულია და ღირს 7 შაურად.

## თუთხმეტ მაისიდან გაიხსნა

კურსების მადნეული წყლის

## აბანო.

რომელიც იმყოფება გელათის სადგურის მახლობლათ, სადაც პლატფორმაა არჯევანიძის მატარებლების გასაჩერებლათ. პლატფორმიდან ას ორმოცდა ათი საჟენია აბანომდი. ქუთაისიდან მოითხოვეთ ბილეთი არჯევანიძესთან. ბილეთი პლატფორმამდი მესამე კლასის 23 კაპ. და მეორეში 7 შაური ღირს.

ზემოხსენებული კ უ რ ს ე ბ ი ს ა ბ ა ნ ო იმყოფება მშვენიერ ბუნებით შემკულ მაღალ ადგილზე, და როგორც ნამდვილ გამოკვლეულია კურნავს მრავალს სხვადასხვა ავათმყოფობას, როგორც მაგ., ქარებს (რევმატიზმის), ტანზე დაყრილ მუწუკებს, ნერვების სისუსტეს, ბავშების საყმაწვილოს, გიმაროი,—სიყვითლეს და ვენერიულ ავათმყოფობას. აგრეთვე რგებს სასმელათ კუჭის ტკივილს. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. არის სუფთა მოწყობილი ვანები, მასთან სუფთა საცხოვრებელი ოთახები და სასმელ-საჭმელი ძრიელ ზომიერ ფასებში.

პატივისცემით **გ. მ. არჯევანიძე.**

## მ უ შ ა ო ბ ს

ხრესილის მადნეული წყლის

ძმ. ჟორჟოლაძეების

## ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო აბანო.

აბანო მდებარეობს მაღლობ ბუნებით შემკულ მთის ჰაერზე და, როგორც ნამდვილ გამოირკვა, კურნავს მრავალ სხვადასხვაგვარ ავათმყოფობას; **ქარებს** (**რევმატიზმს**) სხვადასხვაგვარ **მუწუკს, საყმაწვილოებს, ნერვების სისუსტეს, ჩაყოლილ ციებას** (**მალარიას**) **კუჭის ტკივილს, ვენერიულ ავათმყოფობას, ეგზემას, სისივნეს** და სხვა. წყალი მიიღება ცივი და თფილიც. ხრესილში იმყოფება მუდმივი **ექიმი**, სადაც მსურველს შეუძლია მიმართოს დარიგებისათვის, არის სუფთა საკუთარი ვანები, სუფთა ბინა, და სასმელ საჭმელი. ფასები ყოველივეზე ძლიერ ზომიერია. აბანო მდებარეობს **სადგურ „სერნია ვოდში" ხრესილში** სტანციაა მატარებლის გასაჩერებლათ. სადგურიდან 150 საჟენია აბანომდი. ქუთაისის სადგურზე მოითხოვეთ ბილეთები სადგურ ხრესილის „სტანცია სერნია ვოდის".

## ნ. ს. ტერკის მაღაზია

ქუთაისში

## ველოსიპედები

ყველაზე იაფად




შინები, ნაწილები და მოწყობილებანი კონკურენციის გარეშე

**ყ ვ ე ლ ა ზ ე  ი ა ფ ა დ**

ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება. მოითხოვეთ პრეისკურანტები უფასოთ.

## ქუთაისში.

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

საბუღალტრო კურსები

## გ. გ. გიგინეიშვილისა

კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით ანუ შესაფერი გამოცდის შემდეგ რუსულსა და ანგარიშში.

კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მან. სწავლა კურსებზე იწყება 15 ეკენისთვიდან. თხოვნები მიიღება კურსების კანცელარიაში. (თფილისის ქუჩა).

კურსების გამგე: **გ. გ. გიგინეიშვილი.**

სტამბა „ძმობა", პუშკინის ქუჩა სახლი, გოკიელოვის.